



# მეატრი



საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

23 თებერვალს

გ ა მ ო ნ ი ც ე მ ა

№ 8

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ

1886 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა წლით სუთი (5) მსკეთი, ნახევარ წლით სამი (3) მსკეთი, სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება. ცადაკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შაურა. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭიდაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მტყუარებთათვის აღრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი

## „თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მეორე)

პროგრამა და სიერცე გაზეთი, „თეატრი“-სა იგივე ღირებდა, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირბობით

ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქაღალტის, აგრეთვე გარეშე ხელის მოწერათათვის ღირს სუთი (5) მსკეთი, ნახევარის წლით—სამი (3) მსკეთი. სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

აწმეა 1886 წლიდან აბაპი წამათელი დამაუკადებელ მოწაწილეობას მიიღებს.


ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; აღრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

### პართული თეატრი.

ძაცს სიცოცხლეზედ უუძვირფასესი საგანი არა აქვს რა, რომელიც განუწყვეტლივ მხოლოდ იმისთვის იღწვის, რომ რამოდონათაც კი შესაძლებელია გაუმჯობესოს და განაგრძოს იმის არსებობა; თუმცა თვითონაც ვერ მიუტია თავის თავისთვის ანგარიში და პასუხი.

მხლანდელ დროში ხარბის სიყვარულით გვინდა შევენოთ წარსულს ცხოვრებას და წინაპართა სახელთ, თუმცა ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით იმისთანა საზოგადო მოღვაწენი არა გვეყვანან, რომ ნათლად გარდ-

მოგვცენ, საქართველოს წარსული ცხოვრება, რომელიც აუცილებელს საჭიროებას შეადგენს. მხოლოდ განსვენებულმა რომანისტმა ჩჩეულოვმა გაგვაცნო ერთს ისტორიულს ეპოქასთან, რომელიც მეცამეტე საუკუნოს დასაწყისს ეხება, როდესაც ლაშა ზიორგი მეფობდა და სპარსელები საქართველოს თავზარსა სცემდნენ. ეს რომანი გახლავთ „თამარ ბატონიშვილი“ მეტად ხელოვნურათ დაწერილი და ისტორიულს სინამდვილესაც დაახლოვებულია, მაგრამ ბ. გადმომკეთებელი სუსტი გამოჩნდა და სადაც უფრო შეიძლებოდა, რომ ღირსეულად დაეუხსებინათ იმის თხზულება, პ. მესხიმ სწორეთ იქ დაამახინჯა. პ. მესხიმ



თავის ფერი დასდო, გადმოაკეთა ხუთს მოქმედებიან ღრამათ, რომელსაც რომანისავე სახელი უწოდა: «თამარ ბატონიშვილი». ამ პიესაში ღრამატიულს კანონებს დაცულთ არა ვხედავთ; თუმცა სცენაზედ განუსაზღვრელად იტანჯებიან: მლიზბარ მრისთავი, ამისი შვილი შალვა, თამარი, მაგრამ ღრამის დაწერისათვის ეს პირობანი საკმარისი არ არიან, რადგანაც იმას თავის კანონები აქვს და თუ ღრამატიული მწერალი ამ ჩარჩოს გარეთ გავა, მაშინ იმ თხზულებას სრულიად ეკარგება თავის დანიშნულებანი, ღირსებანი. ამ ღრამის დაწერაში უფრო კ მესხის ფანტაზიას უმუშავნია და არა ისტორიულს ფაქტებს და ღრამატიულს ხელოვნებასა, თუმცა კი ამ პიესას, ჩვენს ლარბს რეპერტუარში არა მცირედი ადგილი უჭირავს, ყოველ წლივ ორჯელ სამჯერ თამაშობენ და საზოგადოებაც დაესწრობა ხოლმე, მაგრამ ამის მიზეზი, ჩვენის აზრით ის არის, რომ მაცკერალნი სცენაზედ ხედავენ თავიანთ წინაპართა სახეს სრულის მორთულობით, რომლის მოგონებაზედაც გული ბოღმებით ევსებათ, აგონდებთ ყოველივე წარსული ცხოვრება და ეს მცირედი ტანჯვა-სიამოვნება უქარებებს ტანჯულს სენს და კაემანსა; აი ამიტომ იზიდავს ეს პიესა საზოგადოებას, რომ ისტორიულია, თუმცა კი სუსტი და თეატრალურს ხელოვნებას მოკლებულია...

ზემოხსენებული ღრამა „თამარ ბატონიშვილი“ კვირას ქართულმა დასმა ითამაშა და უნდა გამოტყუხით გითხრათ, სწორეთ, უთაურობა დაამტკიცეს. საკურველია ლმერთმანი, რით ვერ გამოწონეს ზოგიერთმა ჩვენმა არტისტებმა თავიანთ ძალ-ღონე! ნუ თუ მლიზბარ მრისთავის მოთამაშემ ა. მოხევემ ვერ გაიგო, რომ ამ როლის თამაშობა არ შეუძლიან, რადგანაც იგი დიდს არტისტიულს ნიჭს და სცენიკურს ხელოვნებას ითხოვს, რომელსაც ჩვენდასამწუნაროდ დიდ მანძილზეა დაშორებული; მართალია ა. მოხევეს გრძნობას ვერ წაფართმევთ, მაგრამ იგი საკმარისი არ არის ამ როლის შესასრულებლად და საზოგადოების ესტეტიკური გრძნობის დასაკმაყოფილებლათ. ა. მოხევეს თავის როლები აქვს, რომლებსაც სრულიად ხელოვნურათ თამაშობს, მაგრამ ამის მიზეზი სხვაგან უნდა ვეძებოთ...

3. ალექ-მესხიევეს შალვას როლში გულ-გრილობა ეტყობოდა, არც ერთს მგრძნობიერს სიტყვას თავის შესაფერი სახის გამომეტყველობა არ მოსდევდა და ის შინაგანი სულის მღვლევაზეა, რომელშიაც ახალგაზდა მიჯნური შალვაა. არ ვიცი იმ მიზეზის გამო მოუვიდა, რომ 3. მელიქიშვილისა თამარის მაგიერ ვილაცა ძიძას როლსა თამაშობდა და ხშირად

რამოდენივე ხანი უტდიდა, 3. ალექ-მესხიევე ვიდრემლის ის ლაპარაკს დაიწყებდა, რომელმაც კანტონტატით ისროდა თითო სიტყვას.

ი. საგარელომ სრულიად ვერ დახატა ლაბა ბიორგის ხასიათი; იმას არ ეტყობოდა მეფური ღიღება, მიხვრა-მოხვრა, დარბაისლური მსჯელობა და როლიც სუსტათ იცოდა.

მ. ანდრონიკაშვილისამ მშენიერათ ითამაშა რუსუდანის როლი; საერთოთ უნდა შევნიშნოთ, რომ კარგათ ასრულებს მაღალი წოდების საზოგადოების ხასიათის როლებს, განსაკუთრებით არგინალურს ისტორიულს პიესებში...

მოდველ „ოინზაზში“ ყველა მომქმედნი პირნი თავთავიანთ ადგილას იყენენ და სრულის სინამდვილით წარმოიდგინეს, ისე რომ ამ სამმა პირმა. მ. საფ, აბაშიძისამ, ვ. აბაშიძემ და ნ. საბუელმა სრულიად დააკმაყოფილეს საზოგადოების ესტეტიკური გრძნობა, თავიანთ ცოცხალის და ხელოვნურის თამაშობით. რაც „თამარ ბატონიშვილში“ მაცკერალთ იოხრეს და უკმაყოფილება აცხადეს, ამ ვოდველში ორი იმოდონა იცინეს და ისიამოვნეს...



**ბიბლიოგრაფიული შენიშვნა**

მე, თუ ჩვენ? შენ თუ თქვენ?

შენ, შენ! შენ? თუ მე?

მე, თუ შენ?

მსწავლე დაკვივლო მომტირალი სოფელმან! ავრთი ძველი მუნამაზის გემა.

იმ მღგომარეობაში, რომელშიაც ეხლა საზოგადოდ ლიტერატურა არის ჩავარდნილი და განსაკუთრებით ჩვენი, —საყოველ დღეო გაზეთისათვის ერთს უძნელესს საგანს შეადგენს, ესრედ წოდებულს, შინაურს კითხვებზედ ანუ საქმეებზედ ბაასი. მეროპის პოლიტიკის და იქაური სახელმწიფოთა შინაურს საქმეთა სფეოაში ნავარდობა, —ლიბერალი გლადსტონის მმართველობის კვალად მოწოდების ალტაცებით მიგებება და მისი მოადგილის, კონსერვატორთა მეთაურის, სალსბრის შეტუქსევით და კიჟინით გაცილება ადვილიც არის და სასახელოცა. —მშ, ეშ, ბეჩავ ბიკო! —განცვიფრებული წამოიძახებს რომელიმე ლუარსაბი, რომელიც ქართულს გაზეთში თამამ მსჯელობას წაიკითხავს მეროპის გამოჩენილს კაცებზედ

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სიტყვსაჲ, სხვისთვის ნათელი,  
ჩემთვის შავი და ბნელია...

დედა მომიკვდა ჰატარას  
და მარტოდ დავრჩი ობლად;  
დედინაცვალმა გამგდო,  
აღარ მიმიშვა სოფლად.

წავუღ... სადაც-გი ვაკედი,  
სადაც გადავდგი ფეხსა,  
იქ დამხვდა მწარე ნაღველი  
თავში დამეტა შესა!..

რომ ვისმე გაჭირვებაში,  
ძმურად მოეცა სელია,—  
არ მასსოვს სწორედ იმ დღიდგან,  
რაც თვალი ამისელია.

სადაც მივსუფავარ, ძალ-ღონე  
ვისთვისაც შემოაღვიბა,—  
ამისგან სავსე ფილას  
ნაღველი დამილევი!

ბაითაღმანი დავდივარ,  
დღე დამეთ ჩამხელებია,  
ჩემს ადგილს შევე უნსო ვარ  
და კერა ჩამხელებია!..

დავსუსტდი, ღონე მომაკლდა  
სიტყვსაჲ გამჭირვებას;  
ამ ტილს წუთის სოფელში,  
ერთსედ არ გამხსრება!..

III

ჩემს მეგობრებს

ბიჭავ!.. რადა ვშურს სწორისთვის  
სიკეთე, ზარში სულია?  
გინც სწორსა ჰგინცავს ტყუილად,  
წრეს იქით გადასულია;  
სხვისთვის გათხრილი სამარე  
მისთვისვე შენასულია!..

ა. მახსუბარიძე.

\* \*

(ვუძღვნი ჩ. ს. ა—ს.)

სიყვარულო რა გრძნობა ხარ ესდენ ფრთად უცნაური?  
ცამან შეგქმნა, თუ ქვესვენდმა, ან ძალი გაქვს სადაური?  
შენ ჰგერი ვაცხა ნეტარებას, სიტკობასა და ნაზ გრძნობა-  
ბათა,

სათავე ხარ ჰოეზიის, ჩარხი ბედნიერობათა!  
ემსის ჯაჭვით ორის არხის ახამ გუფს და სიტყვსაჲსა,  
სინარულსა მათ უზღვევებ, ბადაგს ასმევე მწუფრავლესა!

თვით სამოთხეს ქვეყნად აჩენ, მოკვდავს უგზნებ უგებავ  
აღსა,

შენგან უდგამს წინაარ სუფს ქალი ურმას და ურმა გი,  
ქალსა!

სიყვარულო რა გრძნობა ხარ, ესდენ ფრთად უცნაური?  
ცამან შეგქმნა, თუ ქვესვენდმა, ან ძალი გაქვს სადაური?  
სიტკობებით სვეს უმწარებ ვაცხ, მახეში ახამ მტრულად,  
ნეტარებას ვაკებად ჰქმნი ნაზ-გრძნობათა-ბედის გრულავად;  
სინარულის ზღვას ტბადა ჰქმნი შესამის, გესლის ნადვე-  
ლისა,

და მას ასმევე ბადაგს შემდეგ ტრფიანებით მწუფრავლესა!  
ან რად ატკობა, და თუ ატკობა ვაცხ, რად უწულავ დარ-  
დით გუფსა?..

რაც უნდ იყო სიყვარულო, შემოგწინავ მაინც სუფსა!!.

ჯაკ-ვინცრას.

ამელ დროს ცირკში წარმოადგინა რომაი

მართლაც და სულლას პირის სახე შესაზარი ჰქონ-  
და, არამც თუ იმის ჰარმონიული და სწორე ხაზიანი  
პირის სახე ლამაზობას მოკლებული იყო, არამედ გა-  
დაშლილი უბული, არწივისებრივი ცხვირი და ლო-  
მებრივი ნესტოები, რაოდენადვე მოდილო ბრძანებ-  
ლობას მოყვარული ტუჩები კაცს ადვილად ათქმეი-  
ნებდენ იმის სილამაზეს, მით უფრო, რომ მისი მშვე-  
ნიერება ბოლოვდებოდა ხუჭუტი ოქროს ფერის დალა-  
ლებით, რომელიც გრძლათ და მედიდურათ ბეჭებამ-  
დინ სწვდებოდა და ლურჯი თვალები მეტად აცხოვ-  
ლებდა იმის სახესს, მაგრამ საკვირველი თვისება ჰქონ-  
დათ ამ თვალებს: ხან-დის-ხან ცოცხალნი, ჩაფიქრე-  
ბულნი, შთამბეჭოელნი, ერთბაშათ გარეგანნი, ეჭვ  
მორეულნი, შეუბრალებელნი, უფლების მოყვარული,  
რომელსაც ყოველს მოძრაობაზედ ან სისხლის დაღე-

ეთხოვთ კითხვებზე უპასუხებთ პირიდან.

\*) იხილეთ „თეატრი“ № 7.

და საზოგადო პოლიტიკაზედ. — თურმე, რომ ჩვენ-  
შიაცა ყოფილან გოგრიანი ბიჭები. შენმა მზემ, ე  
ვილაც სალისბერია, თუ ბისმარკი, სულ ზურგზედ  
მტვერი ადინეს! მ ჰკუა ხომ კაი საქონელია, მაგ-  
რამ ჰკუასთან გაბედულობაც უნდა და... მს მუდრე-  
გი, ისეთი დრო ჩამოგვივარდა, რომ ემ წუწუკ ლა-  
ზარესაც ველარ გავჯავრებოვარ და, შეხედეთ, ერთი,  
თქვენი ჭარბი, ამ ხელმწიფის ტოლ კაცებს რა რიგად  
სტუქსავენ!.. რასაკერვლია, ლუარსაბის გონება იქამ-  
დენ ვერ მისწვდება, რომ ბისმარკის შეტუქსვა ათი-  
ათასჯერ აღვილია ქართულის მწერლისათვის, მანამ  
მისი მეურნეობის და საოჯახო საქმეების არეულ-და-  
რეულობის მიზეზების გამოცნობა და გამოკვლევა.  
მრთხელ ესტკვით და ჩვენს მოწინააღმდეგე ბანაკში  
არაფრად ექაშნიკად, — და კიდევ ვიმეორებთ, რომ  
მტკნარი სიცრუევა, საკუთარის გონებითი უქლურე-  
ბის და უნიჭობის დასაფარავად გამოგონებული, —  
ვითომც ვხლა ქართულს მწერლობაში შინაურ საქ-  
მეებზედ იმის მეტის, სხვა არასფრის თქმა არ შეიძ-  
ლებოდეს, რომ „მუხს ვაშლი ასხიაო“ (იხ. «ივე-  
რია» № 16). ადგილობრივი რუსული გაზეთები,  
მაგ. „Новое Обозрѣніе“, ვხლა ყველამ იცის რომ  
უფრო სასტიკ პირობებშია ჩაყენებული, მინამ „ივე-  
რია“, მაგრამ რა მიზეზია, რომ ეს რუსული გაზეთი,  
შედარებით, უფრო ბევრის თქმას ახერხებს ჩვენს სა-  
კუთარს საქმეებზედ? ჩვენის ლიტერატურის ისტორია-  
ში შეურყვეველ ფაქტად უნდა იყოს აღვიარებული,  
რომ ქართულს ყურნალ-გაზეთებს მაშინ ეტყობოდა  
ფერი და სიცხოველე, როდესაც მისს მეთაურად იდგა  
ჩვენი ნიჭიერი პუბლიცისტი ბ. ნიკოლაძე. მაგრამ  
ძლიერი ნიჭის ზედ გავლენა, მუდამ მის ჩრდილს ქვეშ  
ყოფნა ველარ აიტანა უნიჭოთა გუნდმა, აუტყდა, აუ-  
ღავედა, ქართულის ლიტერატურის ასპარეზიდან  
გააძევეს და ბურთი და მოედანი დაინარჩუმეს მათ, ვი-  
საც ჩვენს ლიტერატურაში სხვა სახელი არ შეგვიძ-  
ლიან ვუწოდოთ, გარდა მეჯღანეებისა და ფინაჩებისა.  
მსეც ხომ უტყუარი ფაქტია, რომ ბ. ნიკოლაძის მო-  
წინააღმდეგე ადგილობრივს რუსულს მწეულობაში,  
რამდენადაც ქართულს დააკლო ფხა და ფერი, იმდენ-  
ად უკანასკნელს მოუმატა. განსვენებულს „Тифлис-  
скій Вѣстникъ“-ს მაშინ დაეყო სიცოცხლე, როდეს-  
აც ნიკოლაძის მკვირცხლმა კალამმა თვისი ცხოვე-  
ლი ძალა ჩაწვეთა „Тифлисскій Вѣстникъ“-თან და  
„Обзоръ“ თან „ღროებაც“ გამოდიოდა და „ივე-  
რიაც“, მაგრამ, ესრედ წოდებული, ქართული ინტე-  
ლიგენცია უფრო პირველებს გაფაციცებით აღეწებდა  
თვალ-ყურსა, ვიდრე უკანასკნელებს. რა იყო ამისი  
მიზეზი? მწერლობის ლალატი? სრულიადაც არა. მი-

ზეზი ის გახლდათ, ჩემო ბატონო, რომ მათ მწერ-  
ვით შეიქმნა ჩვენის ლიტერატურის ყველა გუნდთ-  
გან განძევებული მიმინო და თუმცა ბევრს ცდილობ-  
დენ მთლად შეერიგებინათ ახალგაზრდობისთვის ეს  
„მწერლობის მოლაღატე და ჯაშუში“, მაგრამ ძალას  
ის მომხიბლავი თვისება აქვს, რომ რაც უნდა ფეზი  
იბოძიდგო და არა, არა იძახო, მაინც ძალა-უნებუ-  
რად ჩავითრევეს. ბ. ნიკოლაძის მეტოქეთ ჩვენს ლი-  
ტერატურაში, როგორც უწოდებენ მისი მრავალნი  
თაყვანის მცემელნი, «ენიაზი ილია» ითვლება და  
არის კიდევ. მარტო ის გავლენა რომ ნიკოლაძემ,  
ფიცხელი შეტაკების შემდეგ, ბრძოლის ველი მთლად  
ილიას დაუტევა და თითონ შორს გარდისხვეწა ამ  
უკანასკნელის მოთაყვანეთა გუნდს საქმაოდ მიაჩნია,  
რომ ნიკოლაძე მთლად დამარცხებულად და, მაშას-  
დამე, სუსტად ჩასთვალოს მაგრამ, მერწმუნეთ, ღარ-  
ვინის სწავლა ამისთანა მოვლენის ასალსნელად და  
გასაგებად გამოუსადეგარია, როგორც ცეცხლის გა-  
საქრობად ნავთი. ინგლისის პირველს მინისტრს  
ბლადსტონს, აშანტიის მბრძანებელი არამც თუ პირ-  
ველი მინისტრის პორტაქელს, ერთ თხასაც არ  
მიაბარებს. ნიკოლაძის, თითქმის ბ. წერეთელის  
და სხვ. ჩვენის ქვეყნის საზოგადობრივი ასპარეზიდან  
ჩამოსვლის მიზეზი ორში ერთი უნდა იყვეს: ან ჩვე-  
ნი საზოგადოება იქამდენ განვითარებულია, რომ მათი  
მსგავსი მეთაურები ველარ გაუძღვებიან წიწ მას, ან  
ისინი ნაადრევად მოსულან ქვეყნად და პირველს ვერ  
შეუძლია, მათი კვალში ჩადგომა და მხარ და-მხარ  
მიყოლა. თქვენ რომელიც გინდათ აირჩიეთ და მეკი  
ნამდვილად უფრო უკანასკნელი მიზეზი მიმაჩნია, ამი-  
ტომ რომ „ის ყოველად უმსგავსი და უნიჭო ნიკო-  
ლაძე“ (იხ. ანტ. ფურცელაძის ნაჯღაბები) ჩვენის  
მწერთენელის და მასწავლებელი ერის დაწინაურებუ-  
ლი დასის წრეში მეტად ნიჭიერად და ძლიერ კაცად  
არის ცნობილი დღეს. ბერნე ერთს ადგილს ამბობს:  
როდესაც ბუნებასა ჰსურს დიდი კაცი (великій чело-  
вѣкъ) დასაჯოს, მაშინ იმას ან ადრე დაჰპადავს თა-  
ვის შესაფერს ეპოქაზედ, ან გვიანაო!

როდესაც შემთხვევას მოუტანია, ყოველთვის  
გამოგვიცხადებია ჩვენი უმდაბლესი მორჩილება და  
თაყვანის ცემა ბ. ილია ჭავჭავაძის პოეტური ძლიერი  
ნიჭის წინაშე და ვხლაც ვაცხადებთ, მხოლოდ მასს  
პუბლიცისტურს ძლიერებას კი ვერ ვემორჩილებით,  
თუმცა „ცხოვრება და კანონიც“ დასწერა და ვხლა  
„ივერის“ მკითხველების გასაოცრად, — ეს «შენ» და  
«თქვენც», რომელმაც გამოიწვია ეს ჩემი სტატია.  
ტყუილად არ არის ნათქვამი: ხერხი სჯობია ღონე-  
სა, თუ კაცი მოიგონებსაო. ჩემის ფიქრით, ძლიერი

მარტო ის კი არ არის, ვინც თვისი ძალის უაღრესობას ყოველ დღე და ყოველს ჟამს საქმით ამტკიცებს, თითქმის ის უფრო ძლიერია, ვინც თავის სისუსტეს ხერხიანად ჰფარავს. ამ შემთხვევაში ბ. ილ. ჭავჭავაძეს ჩვენში თითქმის არაფერია შეედრება. თვისი პუბლიცისტური სისუსტის დასაფარავად „ივერიის“ რედაქტორმა თავის ბედკრულს მკითხველებს ერთი ისეთი მოუწოდებელი ფილოსოფიის, ხშირად გამოცხვარი ტრაქტატი დახეთქა თავზედ, რომ კიდევ დიდხანს ივლიან დარეტიანებულნი და გაბრუებულნი, მაგრამ ვერ მიჰხედებიან «რა უთქვამს, რა მოუწმინხავს, რა წიგნი მოუწერია» მათს სათაყვანო კერპსა. ბ. ჭავჭავაძის ახალი მოძღვრება, გადაჭიმული «ივერიის» ოთხს ნომერში: მე 15, მე 16, მე 17 და მე 19-ში» ფარფორის ტიკინსა ჰგავს, რომელიც, როდესაც წინიღამ უყურებ, სრული არსება გგონია. ან კი რა აკლია?—მოხდენილი ცხვირი, სწორე და მაღალი შუბლი, ყუყუნა ლურჯი თვალები, გაღაჟებული ლოყები, კოპწია ნიკაბი, ფართო და მაღალი მკერდი და სხ. და სხ. მაგრამ აბა ეხლა ზურგიღამ შეჰხედე და მაშინ მიჰხედები თვალთ მაქცობას: თურმე, ნუ იტყვი, მთლად ფულურო და ცარიელი ყოფილა ეს, ერთის შესხედვით სრული არსება. ბევრი სთქვა, იმ ნაირადა სთქვა, რომ გონებით უმარილო და სულით უმანკო შენი მკითხველი დააჯერო, რომ შენი მულამ ყოველი მოწყვეტილი სიტყვა ობოლი მარგალიტის მარცვალაია,—და ნამდვილად კი არაფერი არა სთქვა-რა, ესეც ერთი ღირსებაა ერთ მხრივ ნაგეში გონებისა, თუმც ამისთანა ღირსება არასფერს სანატრელს არ შეიცავს. ყველაფერი შეუძლიანთ შემწამონ ჩემმა მტრებმა,—მაგრამ იმას კი ვერ შემწამებენ, რომ წაკითხულის გაგება არ შემეძლო. არამც თუ რუსეთში, თვით მეროპაშიაც დღეს შენდრინზედ მოხერხებული მწერალი არაფერ არის, მაგრამ იმის, ოინბაზურად დაწერილს თხზულებებშიაც ჯერ არა გამომარეია-რა, მაგრამ „კნიაზი ილიას“ „ივერიის“ ოთხ ნომერში გადაჭიმულს ფილოსოფიას კი მე აზრი ვერ ვუბოვე. Все подается определению, кроме глупости! —სთქვა ერთმა ჭკიანმა კაცმა. („ივერიის“ რედაქციისათვის მიმინდვია ეს ქართულად გადათარგმონ და «დამაკერდიში» მოაქციონ. ურიგო არ იქნებოდა, მართლა, შეგვეტყო ეს „დაშაკირდი“ რას ნიშნავს? ეს ქართული ზმნის ფორმა იმას თხოულობს, რომ იქ მოქცეულის აზრების მთარგმნელის სილამაზეს და ვაჟაკობას დააკვირდეს მკითხველი, თუ თვით აზრების სიღრმეს და სიკეკლუცეს)? ავტორი იწყობს ბოდიშით თვისი მკითხველების წინაშე, რომ „ივერია“ აქამდე თითქმის სულ გარეშე ქვეყნების საქმეებზედ

ლაპარაკობს და შინაურს ვარამს კი ყურს არ უგდებდეს. რასაკერძოდა საყვედური მკითხველისა და აი, ამ საყვედურის ასაცილებლად აჩაქნილა დარბაისელი ავტორი ოთხის მოწინავე, ანუ როგორც თითონ უწოდებენ, მეთაური წერილისა. თურმე თავი და თავი მიზეზი „ივერიის“ ხმის ამოუღებლობისა „შინაური საქმეთა გამო“ ისევ და ისევეს ხელზედ დასახვევი, რალაც «რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზი» ყოფილა. საცოდავი მდგომარეობაა, ლეთის წინაშე! ჩემი პირველი და უკანასკნელი ნატვრა ის არის, რომ იმ დღეს დამასწროს, როდესაც შემდეგი ბრძანება გამოსულიყოს: ერთის კვირით ყველა ის გარეშე მიზეზები, რომლებზედაც მუდმივ სჩვიან, ნამეტნავად ქართული მწერალი, გაუქმებულნი არიან და მათ სრული უფლება ეძლევათ ბეჭდვით გამოთქვან ყველა თავიანთი დაგუბებული აზრები და სრული ჭკუის ძალა გამოიჩინონ.“  
 ოჰ, აბა მაშინ დაინახავდა ქვეყანა ჩვენის ჭკუის მთელს სიუძღურეს და სილატაკეს! მაშინ გამოჩნდებოდა, მთიულისა არ იყოს, ვინ ხარი იქნებოდა და ვინ ფური!

დავით სოსლანი.

(შემდეგი იქნება)

მოსხვის სიმღერები

I

გული აღშოფოთდა, ტანჯული,  
 სტუმს და სტუმს გლავის ზანსაო;  
 ნისლს ისკუეს, ძაღზედ ხაბკლდა;  
 მოსულას აბეზანსაო...  
 გულად გაუძლო. ტიაღმა,  
 ცხვრებსს შესაზანსაო!..

II

გულის პასუხი

გულა! მაგდანი ნადგული  
 ნეტა სად მოგიხელა?  
 ან ერთხელ შენი ანაპი,  
 ან და ანსად გავიხელა?

გულმა სთქვა:—ჩემი ნადგული,  
 სათქმელად მეტად ძნელია...

რის ან ბრძანებლობის წადილი დაეტყობოდა, შეიქმნებოდა. როდესაც აზიაში მიტრიდატს ეომებოდა, ჰკვთა ამორჩეული იქმნა ძავადოკის მეფის პრიობარცორნის და პარტენის მეფის შორის მოსარიგებლათ; ჰარფიანის მეფეს მაგიერათ ორებანი გაგზავნა; თუმცა მაშინ სულლა პროკონსელი იყო, მაგრამ როდესაც სამჯავროში მოვიდა, სადაც სამი ადგილი იყო მომზადებული, იგი წარსდგა სრული რომაელის ამაყობით და ჩაჯდა შუა ალაგში, მარჯვენე მოისო მრობაზი, მარცხენე კი პრიობოცარი. ამ ნაირი ქცევით ძალიან შეფურაცხყოფილი იყო, ისე რომ მრობაზი სიკვდილით დაისაჯა.

მრობასის ამალაში ვილაც განთქმული მკითხავი ძონცი-დესი იყო, რომელიც პირის სახეზედ ატყობდა კაცის მომავალზედ — უბედობასა.

როდესაც სულლას პირის სახეზედ უყურებდა, ის სრულიად განცვიფრებული იყო, და უკვირდა რომ აქამდისინ, უპირველესობა როგორ ვერ დაიკავაო.

სულლას სურათი, რომელიც ჩვენ ავსწერეთ, სრულიად არ არის გამოხატული თავის საშინელებითა, ჩვენ მხოლოდ მცირეთ გავაცანით მკითხველს, თორემ ძალიან შორს წაგვიყვანს, თუ ისრე დავხატეთ, თავის თვისებებით, როგორათაც ის არის შემკული.

თქვენ წარმოიდგინეთ, თუ სულლა სიკაბუკის დროს ესეთი საზარელი სახისა და შეხედულობისა იყო მოხუცობისას რაღა იქნებოდა, როდესაც თან-დთან ხდებოდა და იმისთანა საზიზღარ საქმეებს სჩადიოდა, რომელნიც წარმოსადგენათაც კი ცუდია, ისე რომ ბოლოს სრულიად დაულაქავდა პირის სახე და მუწუკების და დაჭრილობებით აევსო. ტან საცმელიც თავის შესაფერი ეცო. როდესაც ხალხი ტაშს უკრავდა სულლას რაღაც პირზედ ღიმილი მოუვიდა და წაიღუდუნა:

დაუკარით ტაში, დაუკარით! აი, ძონსულებმა ანიშნეს, რომ წარმოდგენა დაეწყოთ და ასამდისინ გლადიატორები გამოვიდენ მოედანზედ.

გლადიატორებს წინ მიუძლოდენ რეციერი და შირმილონი, რომელთაც პირველად უნდა დაეწყოთ ბრძოლა, თუმცა ის წუთი მოახლოვებული იყო, როდესაც ერთმანეთისთვის უნდა შეეკლათ თავი, მაგრამ ისინი კი გულ-გრილად მიდიოდენ ერთათ მუსიაფით. იმათ უკან მისდევდენ ცხრა ლაკვიატორები, ფარებით და შეილდისტრით შეარაღებულნი. ამათ კიდევ მისდევდენ სხვა ცხრანი, რომელთანაც უნდა ებრძოლათ და ამათ იარაღს შეადგენდა: ფარი და ხმალი. ამ ცხრა წყვილს უკან მისდევდენ ოცდა ათი წყვილი გლადიატორები, რომელთაც ერთმანეთთან უნდა ებრძო-

ლათ, ერთი ნახევარ პარტიას უწოდებდენ ჭრაკიელებს და მეორეს სანიტაშებს. ჰველა ესენი ლამაზი კაბუკი იყენენ, წარმოსადეგი ტანისა, ღონიერი და ჰერკულების აგებულებისა ჭრაკიელების იარაღს. შეადგენდა ხანჯალი, პატარა ფარი და აბჯარი. ამათ ეცოთ ნაციონალური ტანსაცმელი იმ ხალხისა, რომელიდგანაც მიიღეს თავიანთ წოდება და მხოლოდ განისხვავებოდენ წითელი მოკლე ჩოხებით და ორი შავი ფთებით, რომლებიც აბჯრებზედა ჰქონდათ გაკეთებული. მკლდა-ათს სამნიტელელებსაც ნაციონალური ტანსაცმელი და იარაღი ჰქონდათ, რომელიც შეადგენდა: პატარა მოკლე ხანჯალი, ორ ფთოვანი აბჯარი რკინისა, ხელზედ გასაკეთებელი იარაღი, რომელსაც იკეთებდენ მარჯვენე, რადგანაც ფარი მარცხენა ხელით ეჭირათ... სანუტელების ტანსაცმელს შეადგენდა, ცის ფერი მოკლე ჩოხა და აბჯარზედ ორი თეთრი ფრთა.

ამ გლადიატორებს უკან მოსდევდენ ოცი ანდობატები, რომელსაც ეცოთ პატარა მოკლე თეთრი ჩოხები და შეარაღებულნი იყენენ: მოკლე ხანჯლებით, რომლებიც უფრო დანებს წააგვანდენ. იმათ თავზედ ეხურათ აბჯრები, რომელიც პირის სახეზედ იყო ჩამოფარებული მხოლოდ თვალების ოდენათ გამოჭრილები იყო თვალისთვის, ისე რომ ეს ოცი საწყალი ძალ უნებლიეთ გამოარეკილები მოედანზედ, რომლებიც ამ უგრძობელი ხალხის მსხვერპლი უნდა გამხდარიყენენ; შემდეგ ამ ცირკის მართველმა დააყენა კაცები მოიდანთანა და ბრძანება მისცა თივის მსახურებს, გახურებულის რკინით ეცემათ იმ საბრალო მონებისთვის და ისრე გაერეკათ ბრძოლის მოედანზედ ერთმანეთის საზოცველად. მს ამოდენა ხოტბო გლადიატორებმა შემოუარეს გარშემო ცირკსა და ხალხიც დიდის ტაშის კერით ეგებებოდა და ბოლოს მივიდენ იმ ადგილს, სადაც სულლა იჯდა; გაჩერდენ ისინი და კანონიერი ინსტრუქციის ძალით, რომელიც ცირკის მართველისაგან აციონისაგანა ჰქონდათ მიცემული, ერთბაშათ, ერთხმე დაიყვირეს:

— მაუმარჯოს, დიკტატორს!

— არა უშავს რა კარგია, კარგი, უთხრა სულლამ თავის მხლებლებს, ეს ყმაწვილი, მარჯვე კაბუკები დღეს კაი სერს გვაჩვენებენ!

მაი, აციონს, თუ კარგათ არ გაუთავდა ეს თამაშობა! მაგ წყეულმა, ამ ას გლადიატორში, ორას ოცი ათასი სესტერცია გამომართო.

როდესაც გლადიატორებმა შემოუარეს ცირკს, გარეშემო მოვიდენენ, კონსულებს სალამი მისცეს და შემდეგ თავ-თავიანთ ადგილს წავიდენ. ამ მზისგან გაპრწყინებულს, ელვარე მოედანზედ მხოლოდ ორი

კაცი და იდგა: მირმილონი და რეციარი. ამ დროს სრული სიმშვიდე ჩამოვარდა მთელს ცირკში და თვალ გაშტერებულნი უცქერავდნენ ამ ორს მებრძოლე გლადიატორებს, რომლებიც ერთმანეთს შურის გებით უყურებდნენ და ცდილობდნენ ერთმანეთი ჩაეყლაპათ. რალა საშინელი მღელვარებით იყო იმათი გული ავსილი, ზღვის ტალღებივითა სცემდა იმათ ტანში სისხლი. მირმილონი შთამომავლობით ბალლი იყო. ის იყო წარმოსადგეი, მაღალი, მარჯვე, ლამაზი და ახოვანი; თავზედ ეხურა აბჯარი, რომელზედაც ვერცხლის თევზი ჰქონდა გაკეთებული, ხელში ეჭირა ფარი და პატარა განიერი და მოკლე ხანჯალი. რეციარის იარაღს შეადგენდა შუბი, ფარი ტანსაცმელი მოკლე და უბრალო. მცნაბიჯზედ იკვნენ დაშორებულნი ერთმანეთს და ფიქრობდნენ აღელვებულნი, თუ როგორ მივარდნობდნენ ერთმანეთს.

მირმილონი ძირს იყო დაყრდომილი და მოელოდა მღელვარებით თავის მტერს.

შუბათ საშინლათ შეჰკივლა რეციარიმ და რამოდენივე წუთის შემდეგ დაუპირდაპირდა მირმილონს და როგორათაც ელვა ისეთის სიხმარით დაუშო საშინელი იარაღი. მირმილონმა მარდად აიცილია იმის ხმალი და ძირს დედამიწაზედ დაიხარა, ისე რომ აიცილია და რეციარიამ რამწამს შეატყა, რომ ასცდო, გაექცა.

შევარდენივით უკან გამოეკიდა მირმილონი, უმაღლს გარს შემოირბინეს მოედანი და იმ ადგილს მივიდნენ სადაც რეციარიას ხმალი დევარდა, როგორც მოასწრო თუ არა ხმლის აღება ამ დროს მირმილონი დაუპირდაპირდა და ის იყო უნდა დაერტყა, რომ რეციარია გამოხსლტა ხელიდგან და მეორეთ დაარტყა, მაგრამ ყოჩაღმა მარმელანმა კიდეც აიცილია თავიდან, თავი მტრის მოქნეული იარაღი.

შმაღვე ფეხზედ იყო მირმილონი და როდესაც რეციარიემ მოუქნია კიდეც აიცილა თავიდან ფართით.

რეციარია კიდეც გაიქცა. ხალხმა უკმაყოფილობა გამოაცხადა გლადიატორზედ, რომ როგორ გამოდის ბრძოლის მოედანზედ, თუ იარაღის ხმარებაც არ იცისო.

მირმილონი იმ ადგილს დადგა სადაც უწინ ბრძოლა მოუხდათ და უკან აღარ გამოუდგა. მაშინ რეციარიამ გაიგო თავისი მტრის განძრახვა და ნელ-ნელა გაეკრა კედელს და უკან დაიწყო წევა, სადაც მირმილონი ელოდა იმას. აღელვებულმა ხალხმა დაიწყო ხმა მალღივ ყვირილი.

— მე ბაყაყების დასაქერად გაგზავნე ახესონის მდინარეზედ! მე ღირსი არ არის მაგ მოედანზედ ბრძო-

ლისა!.. მირმელონი უფრო-და-უფრო გამხრვდა მშვენიერად და თან-დი-თან უახლოვდებოდა თავის მტერს... შინ-და-თან ეკარქებოდა ფერი, ყვით-ლდებოდა და საშინელი მღელვარების აღმული ას-ლიოდა.

მირმილონი მიუახლოვდა თავის მოპირდაპირეს ის იყო უნდა გაეგმირა იმის გული, ამ დროს რეციარიამ მიიფარა ფარი, მაგრამ სრულიად ვერ გადურჩა მტრის მახვილს და მარჯვენა მხარში დაიჭრა და თქრიალით სისხლი წავარდა. საშინელის სიმარლით გაიბინა ოცდაათი ნაბიჯი, მოუბრუნდა თავის მტერს და შეჰკივრა:

— არა უშავს რა ეს მცირედი ჰრილობა!

შემდეგ დამღერა საოხუნჯო, სახალხო სიმღერა.

ამ სიმღერამ ხალხი ალტაცებაში მოიყვანა. ამ თანაგრძობამ გაახალისა და გული გაიმაგრა. ზოგიერთმა ტაშიც დაუკრეს, რომ ამ კრიტიკულს წუთს, როდესაც სრულიად სისხლით იყო ავსილი და იარაღი მტერმა ახსნა მოახერხა ოხუნჯობა და მასხრობაო.

საშინლათ განრისხდა მირმელანო, რომ ხალხმა ტაში დაუკრა იმის მტერს და საშინელის მრისხანებით გაექანა იმისაკენ, მაგრამ კიდეც ერთგულმა ფარმა ააცილა რაცირს ეს დაკვრაც და დაიწყო ხმა მალღივ ყვირილი:

— მოდი, დამარტყი ვალო, ნუ გეშინია დღეს შენთან ერთათ გავისტუმრებ მაგ მოხრაკულს თევზს, კეთილს ხარონთან.

ამ სიტყვებმა სრულიად აღელვა ხალხი და დაუწყეს ტაშის კვრა რეციარიას. ამაზედ უფრო აღელდა მირმილონი და საშინელის მრისხანებით გაექანა მტრისაკენ, მაგრამ ისე ხერხიანათ მიიფარა ფარი, რომ სრულიად შიგ გაეხვია მირმილონი. ამაზედ უფრო-და-უფრო მოემატა ტაშის კვრა და ხალხის თანაგრძობა.

მირმელონი სცდილობდა, რომ როგორმე გამოამძვრალიყო და თავი დაეხსნა ბადისაგან, მაგრამ თავისი მეცადინეობით უფრო-და-უფრო ეხვევოდა ეს მოქმედება მორმელიანისაგან ხალხში სიცილოს იწვევდა. ამ დროს რეციარი გაიქცა მარცხის ასახებედ და მობრუნდა მარმელიანთან, ყვირილით:

— დღეს ხარონი იშოვის თევზს, დღეს სარონი იშოვის თევზს!..

ამ სიტყვებით უნდა დაერტყა მტრისათვის, მაგრამ მირმელონმა დიდი ძალა და ღონე იხმარა და ბადე გახია.

ხალხმა ტაშის კვრა დაიწყო, რომელიც დიდის აღელვებით უყურებდა ამ ორს მოჩხუბარს.

რამწამს განთავისუფლდა მერმილიონი იმწამსვე რეციერმა დაარტყა მძლავრი მარცხნი, მაგრამ იმან ფართო აიცილნა. როდესაც რეცერამ მაიქნია ხანჯალი მირმელონსა, მაშინვე მიაგება იმან ფარი, მაგრამ ნაჭერ-ნაჭერად დაიმსხვრა იგი და მარჯვე ხელში დაიჭრა მარმილიონი, ისე რომ წყაროსავით წაეწარდა სისხლი დაჭრილობიდან. მაშინვე საშინელი ღელვარებით წამოაელო მარცხენა ხელი ხანჯალსა და მიეწარდა მტერსა, მარჯვენა თეძო სრულიად ჩაუკაფა. ბამწარებული რეცერია გამოეშო მტრის ხელიდამ და გაიქცა ისე რომ სრულიად შეღება მოედანი სისხლითა, მაგრამ ორმოცი ნაბიჯი გაიბრინა თუ არა დაეცა მუხლის თავზედ და შემდეგ ღონე მიხდილი დაეცა ღედა მიწაზე. ისეთის ძლიერებით წამოუქნია თავის მტერს მირმელონმა ხანჯალი, რომ ვეღარ შეიმაგრა თავი და დაეცა ძირსა, იმისთვის მცირედი ძალა იყო საჭირო, რომ სრულიად მოეკლა თავის მოპირდაპირე მტერი; ამ უკანასკნელ ბრძოლაზედ ასტეხეს საშინელი ყვირილი და ტაშის კრა; ამ დროს მობრუნდა რეციერა და ხალხს აჩვენა თავისი მომაკვდავი პირის სახე. იმის პირის სახეზე ჩანდა უკანასკნელი სიცოცხლის სხივი, მხოლოდ ერთი უკანასკნელი საშუალება დარჩა რეციერსა, მიემართა ხალხისათვის, რომ ეჩუქებინათ, იმისთვის სიცოცხლე; რადგანაც ეს მთელს რომში მიღებული იყო, რომ ყოველ მომაკვდავს მიმართა ხალხისათვის და უკანასკნელი სიცოცხლის წვეთი მოეთხოვა.

მირმელონი ზედ აწვა თავის მტერს მუხლებით და ხელში ეჭირა ხანჯალი, ათვარიელებდა მატკერალთ და მოელოდა იმათ გარდაწყვეტილებას.

90,000 კაცმა, ქალებმა და ბავშვებმა ჩამოუშვეს ცერი ძირსა; ეს სიკვდილის ნიშანი იყო, მხოლოდ 15,000 აიშვირეს მაჩვენებელი თითი, ეს ნიშანი იყო, რომ გლადიატორისათვის სიცოცხლე უნდა ეჩუქებინათ.


საკურველი ის იყო, რომ ამ 900,00 კაცს რომელთაც რეციერის სიკვდილი უნდოდათ ქალწულნი ქალებიც ერივნენ დიდს სიამოვნებას ხედავდნ ამ საწყალი ბედკრულს გლადიატორის სიკვდილშია.

მირმილიონი მზათ იყო დაეცა რეციერისთვის ხანჯალი, მაგრამ იმან წასტაცა ხელიდგან ხანჯალი და ტარამდის გულში დაიცა. მირმილიონმა ამოიღო იმის გულიდგან ხანჯალი და სისხლი წყაროსავით ამოსკდა იმის დაკოდილი გულიდგან, რეციერმა მოიკრიფა უკანასკნელი სიცოცხლის ძალა და დაიძახა მომაკვდავის ხმითა:

დაწყველილი იყავით!..

ამ დროს დაეცა და დაიწყო ხრილი, განუტყვეს სული.

ი. კაგოქლი.



პატარა ტასოს



ღედა ტასო დილით ადრე,  
 მოგო უნდა ამისთანა!  
 ტანთ ჩაიცვა საჩქაროზედ  
 და ხელ-პირი დაიბანა!

ისაუზმა, და მის შემდეგ  
 სკოლისაკენ გაეჩქარა.  
 სწავლა უყვარს, ხედავთ, ტასო!,  
 მით ღედ მამა გაახარა.

მიდის ტასო და გარემო  
 ხარობს, ჰყვავის მთა და ველი  
 დილა არის, მზე ამოდის,  
 ძეგენად ნათლის მოამფენელი.

ღმერთო, ღმერთო, ამ გვარ გოგოს,  
 წაუმართე სწავლის გზები!  
 აღწარღვევი ქართველ ქალად,  
 ააშორე მას მოდნები!

ი. დ.

(ღეგმანტაგიდგან)

ოდეს ბიბინებს ოქროს ფრათა პური, მღელავი,  
 ამწვანებული ტყეც ნიავთ შრიალეებს წყნარად,  
 და მოალისფრო იმალება ბაღში ქლიავი  
 ზურმუხტოვანის ფოთლის ჩრდილ ქვეშ საამოდ,  
 ტკბილად;

\* \*

ოდესაც ნამით გაწუწული, სუნნელოვანი,  
 სალამო ჟამსა, ანუ დილით, განსივებულსა,  
 ბუჩქებსა ქვეშე მე ზამბახი, ვერცხლ ფეროვანი,  
 ალერსიანად მიწყებს ხოლმე თავის ქნევას;

\* \*



ქართული  
საზოგადოებრივი  
საბჭოთაო

ოდესაც ღრეში ცივი წყარო რბის თამაშითა  
და, ფიქრ გართული რაღაც ნაირ ურკვევ ძილშიდა,  
მეჩურჩულება იღუმალთა რამ მოთხრობათა  
იმ მშვიდ ქვეყნებზე, საიღამაც თვით წარმოფრინდა;—

\*  
\*\*

მაშინ მშვიდდება სულისა ჩემის არეულება,  
მაშინ იბნევა ჩემის სახილგან დაღრეჯილება,  
მაშინ ვბოულობ ბედნიერებას ამ ქვეყნიერად,  
და მაშინ ვხედავ დამბადებელსა მე ზეციურად.

გ. თანუკლი.



შეუღლილი სიყვარულისაგან \*)

დრამა 5 მოქმედ. ოსზ. დონ-მანუელ ტამისი და ზუსისა

სცენა III

აღდარა. მერე დონ-ალეჯარი.

აღდარა. მიცი მე—რომ ქრისტიანი არ უნდა  
შემეყვარებინა. შენ სამართლიანად მჯი, ჩემი მამების  
უღმობელო ღმერთო. იმაში რომ მოტყუებული ვი-  
ყო? რომ ვცდებოდე? მე მრავალ ჯერ შემინიშნავს  
იმაში დაღრეჯილობა, თუმცა კი მიზეზს ვერ მიმხვ-  
დარევი. ჩვენს გულებს რაღაც მკრთალი აჩრდილი  
აშორებს. მე ბევრჯერ მიფიქრია, რომ ეს ქალის  
აჩრდილია მეთქი და ახლა ამას დამტკიცება არ უნდა.  
როდესაც შეიტყო მეფის ტუდლოში დაბრუნება—იგი  
რა აღტაცებაში იყო! როდესაც ციებამ გამოუღლია  
მას გონება, იგი სუ ბოდამდა: ის ტუდლოშია, მე  
მისი ნახვა მინდაო! ჯერ კიდევ მოარჩენილი არ იყო  
როდესაც იგი ტუდლოში წავიდა. მინ არის ის ქა-  
ლი? შექველია დედოფალს მოჰყვებოდა. მე კი მჯე-  
როდა, რომ შესაძლოა მე მას უყვარდეს მეთქი. აი  
ესაც!..

დონ ალფონსო. (შემოდის, თავისთვის) როგორ  
გამოვარკვიო იგი ფიქრისაგან?

აღდარა. მადლობა ღმერთს—რომ დაბრუნდით.

დონ ალფონსო. თქვენ სწუხდით, რომ მე ასე და-  
ვიგვიანე? თქვენ გეგონებოდათ მე გავერთეობდი სად-  
მე. მე მიხარო კიდევ როდესაც თქვენ ასე სწუხართ  
ჩემზე. თქვენ სიკვდილისაგან დამიხსენით.

\*) იხილეთ «თეატრი» № 8.

აღდარა. ალფონსო. მე თქვენგან უფრო მეტი რამეთი ვარ დავალებული.

დონ ალფონსო. ჩემი თქვენდამი მადლობა საუკუ-  
ნოდ დარჩება.

აღდარა. მარტო ერთი მადლობა...

დონ ალფონსო. მითხარით მოეა ხომ ის რაინდი,  
რომელიც თქვენ გეარწიყებათ? მე ეხლა კარგათა ვარ  
და მოეთხოვ იმას—რომ თავს ნუ გაბეზრებს.

აღდარა. ანებე თავი იმ რაინდს და ნუც მე მატ-  
ყუებ—რომ ვითომ შენ მე გიყვარვარ.

დონ ალფონსო. ვერ მიმხედარე ვერ მე თქვენ სიტყ-  
ვებს.

აღდარა. რამ მიგიზიდათ თქვენ ტუდლოში?  
დონ ალფონსო. ბანა მე არ გითხარით? მე მინდო  
და მენახა ჩემი ნათესავი აღმირალი ქასტილიისა.

აღდარა. და სხვა იმის მეტი არაფერ გინახავს?

დონ ალფონსო. დედოფალიცა ენახე.

აღდარა. დედოფალი?!

დონ ალფონსო. რას გაიკვირეთ?

აღდარა. ქარგია იგი?

დონ ალფონსო. როგორც სულით, ისე სხეული-

თაც იგი ანგელოზია.

აღდარა. თქვენ აზვიადებთ.

დონ ალფონსო. ჩემი ქება მცირედ გეჩვენებად,  
თქვენ თვითონ რომ იცნობდეთ მას. ის თავის მუარ-

ველობას დამპირდა.

აღდარა. ღირსიცა ხართ.

დონ ალფონსო. ხვალვე იმასთან ერთად ბურგოს-

ში წასვლასა ვფიქრობ.

აღდარა. მითი დიდებულებანი ხვალ მიდიან?

დონ ალფონსო. დიახ, ხვალ.

აღდარა. მაშ მარტო დედოფალთან და აღმი-

რალთან ილაპარაკე და სხვა არაფისთან?

დონ ალფონსო. დიახ, მარტო იმათთან.

აღდარა. დაბეჯითებით ლაპარაკობენ, რომ დონა-

ხუანა ჭკუაზე შეიშალაო.

დონ ალფონსო. ტყუილია! ცილის წამებაა, რო-

მელსაც მეფე აერცვლებს. იგი ცდილობს მის მოშო-

რებას, დავიწყდება კი თუ ეს რა განძსა მფლობე-

ლობს უღირსად. მაგრამ გეფიცები დიდებული სარდ-

ლის ხმალს, რომ ყოველი ქასტილიელი მზად არის

უმსხვერპლოს თავი და დედოფალი დაიფაროს გან-

საცდელისაგან.

აღდარა. იგი შეაჩვენოს ღმერთმა.

დონ ალფონსო. მაგას რას ამბობთ!

აღდარა. თქვენ ცუდი ჰქენით, რომ მე იმისთა-

ნა ვინმე მიქვეით, რომელიც მე საშინლად მძულს!

დონ ალვარო. თქვენ ის გეჯავრებათ? დედოფალი? რისთვის?

ალვარო. ღა შენც თვალთ მაქცობ, რომ მითომ ეს არ იცი? ამ დედა-კაცმა ძალით რისათვის დაარღვია უფლებანი და დაიჩემა დალიჯი, რომელიც ჩვენ ორივეს გვეკუთვნის? ეს ცოტაა კიდევ მისი საზიზღარი ხარბობისათვის. ამაჟი არწივი ზომავს თვალით დედა-მიწას, ჰხედავს ქალაქებს, სოფლებს—შემკობილს და მდიდარს ხელოვნებით, ბუნებით, სარეწავით; ჰხედავს მათ და მეფური გაბედულობით იჩემებს იმათ. პი ამისთანა მდიდარი ალაფისათვის იბძვიან ორნი მეფენი: ბიწიერება და სიმამაცე ეცილებიან ერთი-ერთმანეთს. მცბიერმა გველმაც, რომელსაც ამ ალაფის მოპოება სურდა, გადაამტერა ერთი მეორეს; მას კარგად ესმოდა, რომ მითი განხეთქილება გამარჯვებას გაუადვილებდა. ღაცა ჩემი მამაცი მამა, მეფე ზავალი; მისი სამეფო ტახტი მეფე ჩიკომ დაისაკუთრა; არაგონიამ და ძასტილიამ გაიწიეს ბრენადისკენ. ღაცა ნახევარ მთვარე, ალვაროს კოშკებზე აიმართა გამარჯვების ჯვარი, და მშვენიერმა ქალაქმა, წინასწარმეტყველის საყვარელმა ბავშვმა, დაიხარა ქრისტიანების წინაშე თვისი ამაჟი თავი უფრო საკუთარი უძლოურებით, მინამ ურწმუნოების სიმამაცით. შბედური მამა-ჩემი გაიქცა აფრიკაში ავარის შვილების უსირცხოებაზე სატირელად. უწყალო მეფეს ფეცას ეგონა, რომ მამა-ჩემი იყო ბრენადის დაცემის მიზეზი და საცოდავს თვლები ამოხიჩქნა. როგორც გლანა თხოულობდა იგი ლუქმა პურს, დაიარებოდა ყველგან და დასცინოდა. სიგელი ეკიდა ყელზე ამ წარწერით: „აი ბრენადის გადაყენებული მეფე“. მისი თვლების ბუდიდგან სისხლის ცრემლები წვეთდა, მისი დაუძლოურებული ხელები შუბლზე ამაოდ ეძებდნენ გვირგვინს. თქვენ გესმით მის სიკვდილის წინ წარმოთქმული სიტყვები?—შურის ძიება იზაბელას, შურის ძიება მის ჩამომავლობას. ღა კიდევ მეკითხები თუ რისთვისა მძულს ღონა-ხუნა, ქალიშვილი იზაბელასი? არ იცით—რომ მინამ თქვენ გაგიცნობდით, გონებაში და გულში შურის ძიების მეტი არა გამოხატულა-რა, რისათვის გაგიცან თქვენ? მე მინდოდა მამკვდარიყვი სახელით და ქრისტიანები მძულებოდა; მაგრამ ახლა კი უნდა მოკვდე უსირცხოოდ, რადგანაც ერთი მათგანი შემიყვარებია!

დონ ალვარო. აღდარა!

ალვარო. ღვილუბე მე. და კიდევ როგორ გინდა რომ გიმსხვერპლო თავი? რომელი დედა-კაცი და დაიმსახურებს მამა კაცის სიყვარულს, თუ მე ვერ შევძელ თქვენი სიყვარულის დამსახურება?

დონ ალვარო. აღდარა, თქვენი სიტყვები მარცხენ. მე არ ვამბობ—რომ მე თქვენ არ მიყვარხართ...

ალვარო. ზანა ევაც უნდა ითქვას? ეგ ხომ ისედაც ადვილი მისახვედრია.

დონ ალვარო. მზრუნველობისათვის, რომელიც მე თქვენ გამიწიეთ, საუკუნოდ მადლობელი ვარ.

ალვარო. თქვენ კიდევ მადლობაზე მელაპარაკებით! მითხარით, განმიმარტეთ მიზეზი—რისათვის არ შემიძლიან ჩემი სიყვარულით თქვენი სიყვარული დავიმსახურო? მითხარით თუ სხვა გიყვართ... შთუოდ იგი დიდი ხანია არ გინახავთ—რომ აგრე მოწყენილი ხართ. იქნება გეგონათ რომ ის მოკვდა, ან საუკუნოდ დაიკარგა თქვენთვის და თქვენ იგი მოულოდნელად ნახეთ. თქვენ ის ტუდელოში შეგხვდათ. მეც მინდა მისი ნახვა. წავიდეთ წამიყვანეთ ამ საათში მასთან. მაგრამ არა... თუ ვინმე სხვა გიყვართ, ეგ მე არ გამაგებინოთ, თორემ მე შემიძლიან მისი მოკვლა.

დონ ალვარო. მოკვლა?

ალვარო. მაშ იგი არსებობს, არსებობს განა?

დონ ალვარო. შთკვთ, რომ არსებობს...

ალვარო. მე ნუ მაბრეყებთ!

დონ ალვარო. თქვენ რა უფლება გაქვთ ჩემზე?

ალვარო. ისა რომ მე თქვენ მიყვარხართ და განა თქვენ გაქვთ უფლება შეურაცხყოფა მამაყენოთ მე?

დონ ალვარო. თქვენ იცით ხომ: მე მძულს ცრემლები და საყვედური. იმედი მაქვს ხვალ დამშვიდებულსა გნახამ; იქნება თქვენ თვითონვე მიჰხედეთ—თუ რა უსაფუძლოა თქვენი საყვედურები. (მიღის მარცხნივ)

ს. 6—თ—ქსი.

(გაგზმელებს იქნება)

სახალხო ლექსები

შეშა იმერეთში შეკრებილი სახიგასიგან

ორშაბათობით გაშენდა

ცისე ქალაქი ქვანდა;

ადამიანის ცნობრება

გურჯინ დგა თავსუდა.

ადგა ხარმა მოასსესა;

„ქე დამაწერეთ თავსუდა.“

წყვილი სასთელი აინთა,

ძიეკრა ორთა რქასუდა;

ვინც კვირე—უქმეს შეპას,

რისსვა მიადგეს კარსუდა.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გხნათ და ვთქვით—ღვინიც ვნახეთ,  
ზედ დაუღიოთ კამურობა;  
თუ ბატონმა შეგვაწუხოს,  
გამოვიხსნათ მამულია.

ბიჭო, შენი სიყვარული  
გუნებაში ჩამიდვია;  
ჭორი ბეჭი გაგიგონე,  
მაგრამ უურიც არ მიგღია.

ხარო, ხარო ვინ დაგარქვას?  
ხარო, სახე მშვენებო!  
ჩვენო იმედო, ნუგეშო,  
ქედ ნაგურთხო ღონიერო!

ჩემო მტერო, ჩემო მკვლელო,  
ჩემო ვარის მესობელო;  
შენ რომ ცეცხლი მამივიდე,  
ნეტა როდის მოვიწელო?!..

აქედგანა და შენამდინ—  
ვარდი მასხია ენამდინ;  
რომ ვინმე გამამიშეებდეს,  
სულ ფრენით მოვალ შენამდინ.

ღამაშმა სოქვა—საყვარელსა  
სიცილით შეგვეყვარები;  
შორიდგან დაგსწავუ—დაგსდაგავ,  
ახლას არ მივეყვარები.

გოგოსთვინ მოვის ჰერანგი  
შეუგერნია დედას;  
აუტუნის ტირილი,  
გული მოუგლავს სევდას.

წავალ, წავალ არ დადგები,  
ჩაკვდები ქალებშიაო;  
რომელიც მამწონება,  
გაკოცებ თვალებშიაო.

უხმით ვჭამე ხსხვის ფოხი,  
ღამაშ გოგოს მიუჩოხი;  
ერთი წისლი მისთანა მკრა,  
ჩამამტკრია გულის ჩონჩხი.

გამხიარული ბუხარო,  
უშეშობას ნუ სწუხარო;

არ გამოვიდგეთ შეშასა,  
ჩვენ ნუ გონივართ უხარო.  
დაიგვიზგვაცე ნაკვერცხლად,  
გულ-ჩასვეული ნუ ხარო;  
ხან-დის-ხან ჩემ ძმას ეხვეწე,  
სულ ჩემს ამარა ნუ ხარო.

წინა გამოცანების ასსნა

- 1) მაკრატელი. 2) მამალი. 3) ბაყაყი. 4) ქა-  
ლამანი. 5) ცხენი. 6) ვენახი. 7) კაკალი. 8) ცარ-  
ცი (მელი). 9) ნიყვი (სოკო). 10) მღვდელი.

რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.

განსხალუბანი

ს ტ ა მ ბ ა

მ ე ლ ი ქ ი შ ე ი ლ ი ს ა .

თფილისში—სასახლის ქუჩ., ანწრუნისეულ ქარ-  
გასლანში, ქართული თეატრის ქვემო საათულში.

იღებს ყოველ გვიანს სასტუმრო საქმეებს საბე-  
ჭდავით: გასეთებს, წიგნებს, ბროშურებს, აგრეთ-  
ვე ყოველ-გვარ ბეჭეებს, კვიტანციებს, სწოტებს,  
განცხადებებს, აფიშებს, შირობებს და სხვ.

სისუფთავაზე და აღნიშნულ დროზე საქმის  
შესრულებაზე სტამბა შირობას აძლევს საქმის  
მომტანთ.

სტამბა კისრულბს გარეკტურის გასწორებას  
და ბროშურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის  
მომცემნი ისურვებენ.

დაიბეჭდა და ისეიდება გ. ჩარკვიანის მაღაზნაში.

რაბიზონ კრუზო

რუსულიდან შემოკლებითი თარ. მარ. ჯაჯანა-  
შვილისა.

ფასი 10 კაპ.

იბეჭდება და ჩქარა გამოვა

თ.ზ. - მოქმედებისა ისტორიული დრამა

თ.ზ. თ. აკ. წამართლისა

### ამარ ცხიერი

რადგანაც ეს დრამა დაიბეჭდება ორასი ეგზემპლიარის არა უმეტეს, ამიტომ საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ ამ თავიდე ხელისმძღვერის მსურველს შეუძლიან მიჰმართოს «თეატრის» რედაქციას.

ფასი ათა შაური

### Открыта Подписка

НА 1886 ГОДЪ

На армянскую ежедневную политико-литературную газету

### „НОРЪ-ДАРЪ“

III-й ГОДЪ ИЗДАНИЯ

Газета 1886 году будет выходить по прежней программѣ. Подписная цѣна съ доставкою и пересылкою: на годъ 10 р., на 6 мѣсяцевъ 6 р., на 3 мѣсяца 3 р. 50 к., на 1 мѣсяць 1 р. 50 коп.

Подписка принимается съ 1-го числа каждаго мѣсяца.

Подписка и объявленія (по 2 коп. за слово на всѣхъ языкахъ и съ переводомъ на армянскій) принимаются исключительно въ конторѣ редакціи „НОРЪ-ДАРЪ“

Редакція „НОРЪ-ДАРЪ“ помѣщается за почтою на Троицкой улицѣ, противъ Троицкой церкви, д. № 9.

Иногородные адресуются: Тифлисъ, въ редакцію „НОРЪ-ДАРЪ“.

Редакторъ-Издатель С. Спандарьянъ

(3—3

Дозволено Цензурою Тифлисъ, 1886 г. 22 февраля.


## სურათები

ჩვენი შოეტებისა და მწერლებისა

აბაში წამართლი

ილია შამუგია

ზრ. ორბელიანი



ბრძანება

გიორგი ერისთავი

სამხრეთი

ჩინებულ ალექსანდროვის ქალაქზედ მსატყობს ა. ბერძის

ისყიდება გრაქუროვის წიგნის მალაზიაში, ქუეის ხილის ყურზე, ზუბალოვის სახლებში და ი. საფაროვის ბაკალინი მალაზიაში, არწრუნისეულ ქარვასლაში.

გინც ათს ან მეტს სურათს გამოაწერს, მაშან თათო სურათი 16 კაპ. დაეთმობა.

გაისსა ხანში, ფოტის სტანციის შირ-და-შირ წიგნის მალაზია წამართლისა,

რომელშიაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები, რუსული და ქართული სახელმძღვანელოები და კანცელარიის ყველა საჭიროებანი. Хონი. Книжный магазинъ Церетели.

Типографія Меликова. სტამ. მეღიქიშვილისა.